

პიჯენსანალიზის ინსტრუმენტები პროგრამული ორგანიზაციებისათვის

ნინო თოფურია, გიორგი ბასილაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

განხილულია ბიზნესანალიზის ფართო შესაძლებლობები, რომლიც ეხმარება ორგანიზაციებს მართოს და მიმღის ინფორმაცია სტრუქტურირებული თუ არასტრუქტურირებული წყაროებიდან, რის საფუძველზეც შესაძლებელია სწორი და ეფექტური ბიზნესგადაწყვეტილებების მიღება.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესანალიზი. ობიექტ-როლური მოდელირება.

1. შესავალი

ნებისმიერ კომპანიაში არსებობს მრავალი სხვადასხვა სახის ბიზნესმონაცემი, რომელიც დროთა განმავლობაში იცვლება და მათი რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. ძალზედ მნიშვნელოვანია ამ დაგროვილი ცოდნის განალიზება და მათ საფუძველზე სწორი ბიზნესგადაწყვეტილების მიღება. მსგავსი პრობლემების გადასაწყვეტად მიზანშეწონილია Microsoft ფირმის შემუშავებული სპეციალური ინსტრუმენტის – ბიზნესანალიზის Business Intelligence (BI) გამოყენება, ხოლო მონაცემთა ბაზის დასაპროექტებლად – ობიექტ-როლური მოდელირების გამოყენება [1,2].

ბიზნესანალიზი (BI) – ესაა ტექნოლოგიებისა და პროგრამული საშუალებების ნაკრები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებებლა მონაცემების შეგროვება, შენახვა და ანალიზი. BI – დანართები მოიცავს მონაცემების რაოდენობრივი თუ ლოგიკური ანალიზის, სტატისტიკური ანალიზის, პროგნოზირების და დაგეგმვის ყველა ინსტრუმენტს. BI საშუალებას აძლევს მომსმარებლებს ერთდროულად იმუშაონ მონაცემებზე, ერთად მიიღონ გადაწყვეტილება და შესაბამისად დაზოგონ დრო.

კომპანიის ბიზნესანალიზის სასიცოცხლო ციკლი შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან:


- დაგეგმვა – კომპანია გეგმავს სტრატეგიულ მიზანს, ანუ როგორი ფინანსური მაჩვენებელი სურს მიღიღოს მომავლში.
- მონიტორინგი – ეს არის ყველაზე ხანგრძლივი ეტაპი, რომლის განმავლობაშიც მიმდინარეობს კომპანიაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგი. კერძოდ, ხორციელდება ფაქტობრივი მონაცემების შედარება პირველ ეტაპზე დაგეგმილ მაჩვენებლებთან.
- ანალიზი – განისაზღვრება თუ რა მოხდა რეალურად და შესაძლებელია დასკვნების გამოტანა.

შედეგების ანალიზის შემდეგ კვლავ ხდება ანალიზისა და დაგეგმვის ეტაპზე გადასვლა და მიზნების კორექტირება, თუ აუცილებელია.


ბიზნესანალიზის ძირითადი ეტაპები გამოსახულია 1-ელ ნახაზზე.

ნებისმიერი საინფორმაციო ტექნოლოგიის დანერგვას თან ახლავს ბიზნესანალიზის შემდეგი პროცესები: მონაცემები ბიზნესანალიზისათვის გროვდება BI-სისტემაში სხვადასხვა წყაროებიდან: ERP და CRM სისტემები, ელექტრონული ცხრილები და ტექსტური ფაილები. შემდგომ ყველა ეს მონაცემი გროვდება მონაცემთა საცავში (Data Warehouse).

ყველა წყაროდან მიღებული მონაცემის შესაღარებლად და ოპერირებისათვის, აუცილებელია მათი გარდაქმნა – გარე სისტემებიდან გამოყოფა (Extract), ერთი და იგივე სახით ტრანსფორმაცია (Transform) და მათი ჩატვირთვა მონაცემთა საცავში (Load).




ეს სამი პროცესი Extract-Transform-Load გაერთიანებულია ერთ საერთო კლასში (ETL-ალგორითმები), რომლებიც BI-სისტემის განუყოფელი ნაწილია. რიგი მიზეზების გამო მონაცემების ერთად შეგროვება როტულია, რადგან ისინი იმყოფება სხვადასხვა ფორმატში და როტულია მათი ამოღება სხვადასხვა დანართებიდან (ნახ.2). ბიზნესანალიზისათვის საჭირო არ არის ყველა დეტალური ჩანაწერი, საჭიროა მხოლოდ აგრეგირებული მონაცემები (მაგალითად, გაყიდული საქონელის ჯამური რაოდენობა და ა.შ.). ამიტომ ამ პროცესის დასაჩქარებლად მონაცემთა საცავებისათვის ხდება OLAP-კუბებისა და მონაცემთა „ვიტრინების“ (Datamarts) აგება. ამგვარად, მომხმარებლის მოხილვის შესასრულებლად მოხდება უფრო შესაფერისი OLAP-კუბის ამორჩევა, რაც დააჩქარებს გადამუშავების პროცესს, რადგან მონაცემები წარმოდევნილი იქნება მომხმარებლისათვის საჭირო სახით. ბოლო ეტაპზე ხდება ანგარიშის აგება.




ნახ.2. Microsoft BI-ის პლატფორმა

SharePoint-ში ბიზნესანალიზის რეალიზაციისათვის ყველაზე ფუნქციონალურ გადაწყვეტილებად ითვლება PerformancePoint-ის სერვისები, რომლებიც საშუალებას იძლევა OLAP-კუბის საფუძველზე შეიქმნას ინტერაქტიული ანგარიშები და დიაგრამები (ნახ.3).




ნახ.3. PerformancePoint-ის სერვისები

- Data Source – მონაცემთა წყარო შეიძლება იყოს Excel-ის ფიზიკური, Excel-ის სამსახურები, ან ანალიზის სამსახურები (SQL Server Analysis Services, ან SQL Server-ის ცხრილები).
 - KPI (მწარმოებლურობის გასაღებური ინდიკატორი) – საზომი ერთეული, რომელიც გამოიყენება მიზნის, გეგმის ან ბიზნეს-პროცესის შესრულების ზოდამშედველობისათვის. ამ დროს ხდება აქტუალური და მიზნობრივი საზომი ერთეულების შეფასება.
 - Indicator (ინდიკატორი) – გრაფიკული ელემენტი, რომელიც გამოისახება აქტუალური და მიზნობრივი KPI მნიშვნელობების შედარებისას.
 - Scorecard (მაჩვენებლების სისტემა) – გამოხატვების უფლებულებების, გამოსახავების KPI-ის კოლექციას და მათ შესაბამის მიზნობრივ მნიშვნელობებს.
 - Report (ანგარიშები) – საწყის მონაცემებზე დაყრდნობით ხდება ანგარიშების ფორმირება. ეს შეიძლება იყოს ანალიზიური დიაგრამა ან ცხრილი, ვებ-გვერდი, Excel-ის სამსახური და სხვა.
 - Filter (ფილტრები) – ანალიზისთვის, განკუთვნილი მნიშვნელობების დასაჯგუფებლად.
 - Dashboard (მონიტორინგის პანელი) – ესაა დაჯგუფებული გვერდების კოლექცია, რომელიც შეიცავს მაჩვენებლების სისტემას, ფილტრებს და ანგარიშებს. თითოეული მათგანი დაკავშირებულია ერთმანეთთან და უზრუნველყოფილია ინტერაქტიულობა.
- ამგვარად, SharePoint-ის SQL Server-თან ინტეგრაციის საშუალებით მომხარებლები ღებულობენ მონაცემების ანალიზის მრავალ შესაძლებლობას.
- მონაცემთა ბაზების დასაპროექტებლად ობიექტი-როლური მოდელირების გამოყენებას აქვს რამდენიმე უპირატესობა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა როლია მზა მონაცემთა ბაზის მოდიფიკაცია. ბიზნეს-პროცესები კი განუწყვეტლივ იცვლება. ეს პროცესი საქმაოდ მარტივად ხორცილდება ORM-დიაგრამაში (ნახ.4). საჭიროა მხოლოდ ახალი ობიექტებისა და პრედიკატების ჩამატება, ხოლო ER-მოდელის რედაქტირება მარტივად ხორციელდება Visual Studio-სა და NORMA პაკეტის საშუალებით (ნახ.5).



ნახ.4. ORM-დიაგრამის ფრაგმენტი



ნახ.5. ER-ძოდელის ფრაგმენტი

Visual Studio 2010 და NORMA ასევე საშუალებას გვაძლევს ავტომატურად მივიღოთ HTML-ანგარიში.

ლიტერატურა:

1. What's new in business intelligence in SharePoint Server 2013, <http://technet.microsoft.com/en-us/library/jj542395.aspx>
2. Halpin T., ORM 2 Graphical Notation, Neumont University, 2005. http://www.orm.net/pdf/ORM2_TechReport1.pdf
3. Чуканов Р.П. «Как превратить бизнес-данные в знания. Инструменты бизнес-аналитики на платформе Microsoft», <http://blogs.technet.com/b/pavelch/archive>

NORMA Verbalization Report - Windows Internet Explorer
C:\Users\Gia\Desktop\ConstraintValidationReport.html

Object-Role Model ORMMModel1.
Constraint Validation Report
"FilialiAqvsMogeba" Fact Type ↑

Verbalization Report Contents

- Object Types
- Constraint Validation

Summary

Filiali aqvs Mogeba.

Role Players

- Filiali
- Mogeba

Constraints

- InternalUniquenessConstraint21
Type: InternalUniquenessConstraint
Verbalization:
Each Filiali aqvs at most one Mogeba.
- InternalUniquenessConstraint39
Type: InternalUniquenessConstraint
Verbalization:
- InclusiveOrConstraint1
Type: InclusiveOrConstraint
Verbalization:
Each Filiali aqvs some Mogeba
or aqvs some Zarali.

"FilialiAqvsZarali" Fact Type ↑

6.5. HTML-ანგარიში

BUSINESS-INTELLIGENCE TOOLS FOR ENTERPRISE ORGANIZATIONS

Topuria Nino, Basiladze Giorgi
Georgian Technical University

Summary

We consider a wide business intelligence capabilities that enable corporate organizations to manage and access information from structured and unstructured sources. Based on business intelligence can be adopt more precise and effective business solutions.

ИНСТРУМЕНТЫ БИЗНЕС-АНАЛИТИКИ ДЛЯ КОРПОРАТИВНЫХ ОРГАНИЗАЦИЙ

Топурия Н., Басиладзе Г.
Грузинский Технический Университет

Резюме

Рассматриваются широкие возможности бизнес-аналитики, которые помогают организациям управлять и получать доступ информации из структурированных и неструктурных источников, на базе которых возможно принимать более точные и эффективные бизнес-решения.